საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

ეკონომიკური ზრდა და მისი გამოწვევები

www.sab.ge

შესავალი

მსოფლიო ბანკი ქვეყნების ეკონომიკის კლასიფიცირებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (GNI per capital-Atlas Method) ახდენს. ამ ინდიკატორის მიხედვით ის ქვეყნებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს: დაბალი შემოსავლის (low-income) მქონე ქვეყნები - მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე 1,035 $ ან ნაკლები უნდა იყოს: (ბანგლადეში, კამბოჯა, უგანდა, ჰაიტი და ა.შ); დაბალ-საშუალო შემოსავლის (lower-middle-income) მქონე ქვეყნები - 1,036$ - 4,085$: (სომხეთი, ინდოეთი, მოლდოვა, მაროკო და ა.შ); ზედა-საშუალო შემოსავლის (upper-middle-income) ქვეყნები - 4,086$-12,615$: (აზერბაიჯანი, ბრაზილია, ტაილანდი, ბულგარეთი და ა.შ) და მაღალი შემოსავლის (high-income) მქონე ქვეყნები-12,616$ და მეტი: (რუსეთი, ავსტრალია, სინგაპური, იტალია და ა.შ). აქედან, დაბალ და დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს განვითარებად ქვეყნებს უწოდებენ. რაც შეეხება საქართველოს, მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემების მიხედვით, ის მეშ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (3,570$-იანი მაჩვენებლით), სომხეთთან ერთად დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. იმისთვის, რომ საქართველომ დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან, უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში მოკლე დროში გადაინაცვლოს, ამისთვის მისი მშპ-ს მაღალი რეალური ზრდის ტემპია საჭირო.

ამ კვლევაში საზოგადოება და ბანკების მიზანი არის, რომ გაანალიზოს გასულ წლებში არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპის მონაცემები, გამოკვეთოს მშპ-ში სხვადასხვა სექტორის, საქართველოში სხვადასხვა რეგიონის აქტივობის მაჩვენებლები, თითოეულ რეგიონში გარკვეული ეკონომიკური აქტივობის მიზეზები და პრობლემები. კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკის უფრო სწრაფი განვითარების სვლისკენ.

მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლები

(ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით)

გრაფიკი 1: მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლები (პროცენტული ცვლილება)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

გრაფიკი 1-ზე არსებული მონაცემებიდან ნათელია, რომ როგორც მშპ ასევე მისი ზრდის ტემპიც (მუდმივ-2003 წლის ფასებში) 2006 წლიდან 2008 წლამდე ზრდის ტემპით ხასიათდება და 2006-2013 წლების განმავლობაში მის მაქსიმუმს 2007 წელს - 12.3%-იანი მაჩვენებლით აღწევს (2007 წელი გასულ და მომდევნო წლებთან შედარებით „ეკონომიკური ბუმის'' პერიოდი იყო). მშპ-ის ზრდის ტემპი 2008 წლიდან 2010 წლამდე კლების ტენდენციით წავიდა (რუსეთ-საქართველოს შორის ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდები), ხოლო 2009 წელს წინა - 2008 წელთან შედარებით არა თუ გაიზარდა, არამედ შემცირდა და (-3.8%-იან) მაჩვენებელზე დაფიქსირდა (2008 წელს საქართველოში მომხდარი აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მოვლენების ასახვა 2009 წელს მოხდა). 2010-დან 2012 წლამდე მშპ-ის ზრდის ტემპი კვლავ ზრდას განაგრძობს, ხოლო 2012 და 2013 წლებში ისევ კლების ტენდენციით ხასიათდება (საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ქვეყანაში გამოწვეული ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილური მდგომარეობის შედეგი). რაც შეეხება 2014 წელს, პირველ ორ კვარტალში ერთად (წინასწარი შეფასებით) 6.2%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, რაც ამ ეტაპზე ნორმალური მაჩვენებელია და პროგნოზის მიხედვით 2014 წელს 5%-იანი ეკონომიკური ზრდის მიღწევის საშუალებას ჯერჯერობით იძლევა.

ეკონომიკის ზრდის ტემპთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რომელ დარგში წარმოებულ პროდუქციას და მომსახურებას უკავია მშპ-ში ყველაზე დიდი წილი და რომელი სექტორი გამოირჩევა ყველაზე დიდი ზრდის ტემპით.

გრაფიკი 2: 2013 წლის მშპ-ის რეალური ზრდის მონაცემები-ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

ცხრილი 1-დან ნათელია, რომ 2013 წელს ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი წილი სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობის დარგის ზრდას - 9.8%-იანი მაჩვენებლით უკავია, ხოლო ყველაზე ნაკლები კი მშენებლობის დარგს (10.6%-იანი მაჩვენებლით). ეს მონაცემები იმას გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული პროდუქცია და მომსახურება 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით გაიზარდა, ხოლო მშენებლობის დარგში წარმოებული პროდუქცია და მომსახურება არა თუ გაიზარდა, არამედ 10.6%-ით შემცირდა. 2013 წელს სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული პროდუქციის ზრდა სოფლებში „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ პირველი ეტაპის დასრულების შედეგია, ხოლო მშენებლობის დარგში წარმოებული პროდუქციის შემცირების მიზეზი ძირითადად სახელმწიფოს მიერ ამ დარგში გაწეული ხარჯების შემცირება იყო (2013 წელს, სახელმწიფომ თანხები ძირითადად ისეთი პროექტების განსახორციელებლად მიმართა, რომელიც მუნიციპალურ და რეგიონალურ ინფრასტრუქტურას აწესრიგებს, რათა გრძელვადიან პერიოდში განახლებულმა ინფრასტრუქტურამ ეკონომიკურ აქტივობას შეუწყოს ხელი). რაც შეეხება დანარჩენ დარგებს, სოფლის მეურნეობის შემდეგ, მეორე ადგილზე დამამუშავებელი მრეწველობა დგას - 8.4%-იანი ზრდის მაჩვენებლით; მესამეზე ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა - 7.5%, მეოთხეზე საფინანსო საქმიანობა - 7.4% და ა.შ. უნდა აღვნიშნოთ, რომ გრაფიკი 2-ზე არსებული მონაცემები არ ნიშნავს იმას, რომ მშპ-ში ამ დარგებში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების წილი და მათი აბსოლუტური ზრდის ტემპის მაჩვენებლებიც იგივე რიგითობის მიხედვით ხასიათდება. ამის გასარკვევად ქვემოთ არსებული მონაცემები მიმოვიხილოთ.

დიაგრამა 1: 2013 წლის მშპ მუდმივ ფასებში - ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

დიაგრამა 1-დან ნათელია, რომ 2013 წელს მშპ-ში ყველაზე დიდი წილით ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირდაპირი მოხმარების საგნების რემონტში წარმოებული პროდუქცია და მომსახურება გამოირჩეოდა. ამ დარგში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების წილი გასულ წლებშიც მაღალი იყო: 2012 წელს - 14.7%, 2011 - 14.5% 2010 - 14.8% და ა.შ. წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ოდენობის მიხედვით, ვაჭრობის შემდეგ მეორე ადგილზე დამამუშავებელი მრეწველობა-13.1%-იანი მაჩვენებლით დგას, რომლის წილი მთლიან მშპ-ში უკანასკნელ წლებში ასევე მაღალი იყო: 2012-12.5%, 2011-11.7%, 2010-11.0%. დამამუშავებელი მრეწველობის შემდეგ მესამე ადგილზე ტრანსპორტი - 10.2%-იანი მაჩვენებლითაა, რომლის მონაცემებიც გასულ წლებში შემდეგი იყო: 2012 წელს - 10.0%, 2011 - 9.9% და 2010 - 10.0%. მეოთხე ადგილზე სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა-მეთევზეობა დგას - 10.0%, რომლის წილი მთლიან მშპ-ში უკნასკნელ წლებშიც იგივე მონაცემების ფარგლებში მერყეობდა: 2012 წელს - 9.4%, 2011 წელს - 10.4% და 2010 - 10.3%.

რაც შეეხება ისეთ დარგებს, რომლებიც მშპ-ში ყველაზე ნაკლებ პროდუქტს ქმნიან შემდეგია: შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის - 0.1%-იანი მაჩვენებლით. ამ დარგის წილი მშპ-ში გასულ წლებშიც დაბალი და მუდმივად 0.1% იყო. ასევე მშპ-ში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი პროცენტული წილით სამთომოპოვებითი მრეწველობა გამოირჩევა - 0.7%, რომლის მონაცემებიც უკანასკნელ წლებში, იგივე მაჩვენებლის ფარგლებში მერყეობდა: 2012 წელს - 0.7%, 2011 - 0.7% და 2010 წელს - 0.8%.

იმის გასარკვევად, თუ მშპ-ში რომელ დარგში შექმნილ პროდუქციას და მომსახურებას უკავია ყველაზე დიდი წილი და ამავე დროს რომელი სექტორი ხასიათდება ყველაზე დიდი ზრდის ტემპით,

ამისთვის ამ დარგში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების აბსოლუტური ცვლილების მაჩვენებლებიც მიმოვიხილოთ.

ცხრილი 1: მშპ-ში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ოდენობის ცვლილების აბსოლუტური მაჩვენებლები (მლნ ლარებში)

მშპ-ს ცვლილების მაჩვენებლები	2010	2011	2012	2013
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-66,9	105,5	-53,2	134,4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	4,7	-9,0	6,4	-0,1
დამამუშავებელი მრეწველობა	235,9	194,9	217,2	152,6
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	8,9	31,9	2,5	19,3
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	-23,2	34,4	-11,4	28,4
მშენებლობა	58,8	68,9	140,8	-124,3
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	233,0	104,8	143,8	109,5
სასტუმროები და რესტორნები	47,8	32,9	50,2	35,6
ტრანსპორტი	146,7	85,4	90,9	71,8
კავშირგაბმულობა	66,3	57,3	75,3	19,4
საფინანსო საქმიანობა	53,4	101,0	77,4	43,9
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	42,5	52,2	27,5	41,0
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	9,0	10,4	13,6	11,7
სახელმწიფო მმართველობა	3,3	13,3	13,4	9,3
განათლება	14,4	12,8	14,4	23,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	16,6	7,8	16,6	-0,1
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	43,0	32,1	30,9	-3,7
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	1,1	2,0	1,0	-0,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

ცხრილი 1-ზე არსებული მონაცემებიდან ნათელია, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ოდენობა აბსოლუტურ გამოხატულებაში 2010 წლიდან დღემდე ყველაზე დიდი ოდენობით იზრდება; 2010 წელს მეორე ადგილზეა ვაჭრობის დარგი - 233 მლნ ლარიანი ზრდის ოდენობით, ხოლო მესამეზე კი ტრანსპორტი დგას - 146 მლნ ლარის ოდენობით. 2011 წელს მრეწველობის დარგის შემდეგ მეორე და მესამე ადგილი, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის დარგში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ოდენობას უკავია, ხოლო 2012 წელს მშენებლობის და ვაჭრობის სექტორს. რაც შეეხება 2013 წელს, დამამუშავებელი მრეწველობის შემდეგ ყველაზე დიდი ოდენობით, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის დარგში წარმოებული პროდუქცია და მომსახურება იზრდება.

გრაფიკი 2, დიაგრამა 1 და ცხრილი 1-ის მონაცემების ერთმანეთთან გაერთიანებით, შეგვიძლია უკვე ის დარგები გამოვკვეთოთ, რომელთა წილიც მშპ-ში და ასევე ზრდის ტემპიც ყველაზე მაღალია.

2013 წელს მშპ-ს შემადგენლობაში ყველაზე დიდი წილით ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა - 15%-იანი მაჩვენებლით (დიაგრამა 1). ის აბსოლუტური ზრდის - 109.5 მლნ ლარიანი მაჩვენებლით (ცხრილი 1) - მესამე, ხოლო პროცენტული ზრდის - 5.1%-იანი მაჩვენებლით (გრაფიკი 2) - მეშვიდე ადგილზე დგას.

ვაჭრობის შემდეგ მშპ-ს შემადგენლობაში ყველაზე დიდი წილით დამამუშავებელი მრეწველობა - 13.1%-იანი მაჩვენებლით (დიაგრამა 1) გამოირჩევა. აბსოლუტური ზრდის -152.6 მლნ ლარის

ოდენობით (ცხრილი 1) - პირველ ადგილზე, ხოლო პროცენტული ზრდის - 8.4%-იანი მაჩვენებელით (გრაფიკი 2) - მეორე ადგილზე დგას.

დამამუშავებელი მრეწველობის შემდეგ მშპ-ს შემადგენლობაში ყველაზე დიდი წილით ტრასპორტის სექტორი გამოირჩევა - 10.2%-იანი მაჩვენებლით. აბსოლუტური ზრდის - 71.8 მლნ ლარის ოდენობით- მეოთხე, ხოლო პროცენტული ზრდის-4.9%-იანი მაჩვენებლით- მერვე ადგილზეა.

ტრანსპორტის შემდეგ მეოთხე ადგილზე სოფლის მეურნეობის სექტორია მშპ-ში 10.0%-იანი მაჩვენებლით. აბსოლუტური ზრდის 134.4 მლნ ლარიანი მაჩვენებლით - მეორე, ხოლო პროცენტული ზრდის 9.8%-იანი მაჩვენებლით - პირველ ადგილზე დგას.

აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ დამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის სექტორში წარმოებულ პროდუქციას მშპ-ში განსაკუთრებით დიდი წილი უკავია და ასევე მისი ზრდის ტემპიც მაღალია. გასულ წლებში არსებულ ტენდენციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უახლოეს მომავალში ამ სექტორებში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების წილი მთლიან მშპ-ში სავარაუდოდ ასევე დიდი შეიძლება იყოს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სექტორს, როგორც ვხედავთ 2013 წელს ამ დარგში წარმოებული პროდუქციის ოდენობა წინა, 2012 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, ამის მიზეზი კი როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ 2013 წელს „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ პირველი ეტაპის დასრულება იყო, რის გამოც სოფლად დამუშავებული მიწების და შედეგად წარმოებული პროდუქციის ოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სექტორები რომლებიც მშპ-ში ყველაზე ნაკლებ პროდუქტს და მომსახურებას ქმნიან და ასევე მათი ზრდის ტემპიც დაბალია შემდეგია: შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის მისი წილი მშპ-ში - 0.1%-ია (დიაგრამა 1); აბსოლუტური ზრდის მაჩვენებელი -0.1 მლნ ლარი, ხოლო პროცენტული ზრდის ტემპი - 0.7%. არადა ამ დარგში დასაქმებული მოსახლეობის ოდენობა მთლიანი სამუშაო ძალის 67% შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აქედან ვხედავთ, რომ ამ სექტორში რეალურად ძალიან მცირე პროდუქტი იქმნება, არადა სამუშაო ძალის უმეტესი წილი სწორედ ამ სექტორზეა მიმართული. ეს ფაქტი ქვეყანაში ადამიანური რესურსების არაეფექტიან განაწილებაზე მიუთითებს, რაც ქვეყნისთვის მეტად უარყოფითი ფაქტია. ასევე მშპ-ში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი წილით სამთომოპოვებითი მრეწველობა გამოირჩევა - 0.7%, რომლის აბსოლუტური ზრდის მაჩვენებელი 2013 წელს ასევე - 0.1 მლნ ლარი იყო, ხოლო პროცენტული ზრდის ტემპი შესაბამისად უარყოფითი -0.1% იყო. ეს საქართველოში მოპოვებული ბუნებრივი რესურსების, მცირე ოდენობაზე მიუთითებს, რაც ქვეყნისთვის ასევე უარყოფითი ფაქტია.

ამ მონაცემებთან ერთად საინტერესოა საქართველოში ეკონომიკურად ყველაზე აქტიური რეგიონები და ასევე ის სექტორები მიმოვიხილოთ, რომლებიც ამ რეგიონების გარკვეულ აქტიურობას განაპირობებენ.

მშპ-ს განაწილება ტერიტორიული ერთეულების

და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დიაგრამა 2: მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, 2012 წელი (მიმდინარე ფასებში).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

დიაგრამა 2-ზე არსებული მონაცემები 2012 წლის მაჩვენებლებია, რადგან 2013 წლის მაჩვენებლები 2014 წლის დეკემბრამდე არ გამოქვეყნდება. დიაგრამა 2-დან ნათელია, რომ ყველაზე დიდი ოდენობით მთლიანი დამატებული ღირებულება იგივე მშპ თბილისის შემდეგ იმერეთი და რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში - 11.8%-იანი მაჩვენებლით იწარმოება. ამ რეგიონის ასეთი მაღალი პროცენტული წილი იმით არის განპირობებული, რომ იმერეთის რეგიონი დღეს-დღეობით საქართველოში ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია და ასევე მასში ერთად სამი ტერიტორიული ერთეულია (იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) გაერთიანებული. მეორე ადგილზე ქვემო ქართლი დგას - 8.5%-იანი მაჩვენებლით, ხოლო მესამეზე აჭარის რეგიონი - 7.4%-იანი მაჩვენებლით. ყველაზე ნაკლები წილით მშპ-ში გურიის რეგიონი - 1.9% და სამცხე-ჯავახეთი - 2.9% გამოირჩევა.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ, თითოეულ ამ რეგიონში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ოდენობა, რომელი სექტორის აქტივობით არის გამოწვეული და რა არის მიზეზი თოთოეული რეგიონის გარკვეული აქტივობისა, ქვემოთ მოცემულ ცხრილში არსებული მონაცემებიც მიმოვიხილოთ.

ცხრილი 2. ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2012 წლის პროცენტული მაჩვენებლები)

რეგიონები	თბილისი	კახეთი	შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა/რ	გურია	სამეგრელო ზემო სვანეთი	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	0.0	286.6	238.8	339.7	188.5	118.5	118.7	290.5	352.0
%	0.0	24.7	17.9	17.7	29.2	7.1	27.3	19.6	13.2
მრეწველობა	1,359.0	123.4	309.9	720.8	28.8	131.0	18.1	133.6	331.8
%	12.1	10.6	23.2	37.6	4.5	7.8	4.2	9.0	12.5
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	78.2	76.6	60.3	67.5	38.3	58.7	29.6	67.6	124.2
%	0.7	6.6	4.5	3.5	5.9	3.5	6.8	4.6	4.7
მშენებლობა	1,303.2	24.3	39.9	43.8	29.1	200.0	8.0	56.3	52.2
%	11.6	2.1	3.0	2.3	4.5	11.9	1.8	3.8	2.0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	3,051.8	60.2	69.8	107.5	32.4	196.5	14.8	80.0	156.4
%	27.3	5.2	5.2	5.6	5.0	11.7	3.4	5.4	5.9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1,950.4	11.7	40.5	19.7	6.1	114.5	2.5	228.8	21.2
%	17.4	1.0	3.0	1.0	0.9	6.8	0.6	15.5	0.8
სახელმწიფო მმართველობა	947.5	154.3	271.0	219.6	115.1	188.0	41.4	201.8	387.7
%	8.5	13.3	20.3	11.5	17.8	11.2	9.5	13.6	14.6
განათლება	236.1	95.5	53.2	126.7	79.4	115.8	48.9	93.6	243.1
%	2.1	8.2	4.0	6.6	12.3	6.9	11.2	6.3	9.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	631.8	91.6	80.0	63.6	39.8	121.7	35.2	67.4	231.3
%	5.6	7.9	6.0	3.3	6.2	7.3	8.1	4.6	8.7
მომსახურების სხვადასხვა სახეები	1,636.2	237.1	173.7	208.5	88.6	430.7	117.3	259.1	760.7
%	14.6	20.4	13.0	10.9	13.7	25.7	27.0	17.5	28.6
მთლიანი დამატებული ღირებულება სულ	**11,194.2**	**1,161.3**	**1,337.1**	**1917.5**	**646.2**	**1,675.4**	**434.4**	**1,478.7**	**2,660.4**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

ცხრილი 2-ში მშპ ათ დარგად არის ჩაშლილი; დანარჩენი რვა, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ: გრაფიკი 2, დიაგრამა 1 და ცხრილი 1-ში არის განხილული მომსახურების სხვადასხვა სახეებშია გაერთიანებული (ვინაიდან რეგიონების დონეზე თვრამეტივე დარგის შესახებ მონაცემების მოძიება რთულია). ცხრილი 2-დან ნათელია, რომ თბილისში ყველაზე დიდი ოდენობით პროდუქცია და მომსახურება იქმნება შემდეგ დარგებში - ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ხოლო ყველაზე ნაკლები კი სოფლის მეურნეობა და პროდუქციის გადამუშავება სოფლის მეურნეობების მიერ სექტორში. იმერეთი რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთში ყველაზე დიდი ოდენობით პროდუქცია და მომსახურება, მომსახურების სხვადასხვა სახეებში (სადაც გაერთიანებული ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება, კავშირგაბმულობა, სასტუმროები და რესტორნები და სხვა) და სახელმწიფო მმართველობაში იქმნება. ქვემო ქართლში მრეწველობის (რაც დამამუშავებელ და სამთომოპოვებით მრეწველობას მოიცავს) და სოფლის მეურნეობის დარგში, ხოლო აჭარაში კი ყველაზე დიდი ოდენობით პროდუქცია და მომსახურება, მომსახურების სხვადასხვა სახეებში და მშენებლობაში იქმნება, როცა მშენებლობაში შექმნილი პროდუქცია და მომსახურება აჭარის და თბილისის გარდა ყველა რეგიონისთვის მინიმალურია.

დასკვნა

ზემოთ არსებული ანალიზიდან ნათელია, რომ მშპ-ში დამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის სექტორში წარმოებულ პროდუქციას და მომსახურებას განსაკუთრებით დიდი წილი უკავია და ასევე მათი ზრდის ტემპიც მაღალია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სექტორს, 2013 წელს ამ დარგში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ოდენობა წინა 2012 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, რაც 2013 წელს „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ პირველი ეტაპის დასრულების შედეგია. ამ პროექტის ფარგლებში 2013 წელს 264,575 ჰექტარი მიწის ფართობი დამუშავდა, რის შედეგადაც 2013 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი 244 მლნ დოლარის ოდენობით გაიზარდა, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის დადებითი ფაქტია. „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მეორე ეტაპი დღესდღეობით დასასრულს უახლოვდება, რის ფარგლებშიც 2014 წლის 29 ივლისის მონაცემებით 200,000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი უკვე დამუშავდა. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში'' რომელიც 2014 წლის ივნისში დაიწყო და რაც ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას ისახავს მიზნად (მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში), ამ სექტორში წარმოებული პროდუქციის ოდენობის, ექსპორტის ზრდას სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას და ბიუჯეტის გარკვეულწილ ზრდას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს.

სექტორები, რომლებიც მშპ-ში ყველაზე ნაკლებ პროდუქტს ჰქმნიან და ასევე მათი ზრდის ტემპიც დაბალია შემდეგია: შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის და სამთომოპოვებითი მრეწველობა. აქედან პირველ დარგში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა - იგივე თვითდასაქმებული მოსახლეობის ოდენობა, მთლიანი სამუშაო ძალის 67% შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. აქედან ვხედავთ, რომ ამ დარგში რეალურად ძალიან მცირე პროდუქტი იქმნება, არადა სამუშაო ძალის უმეტესი წილი, სწორედ ამ სექტორზეა მიმართული (თუ სამუშაო ძალის ამ ნაწილს, დასაქმებულებად არ ჩავთვლით, მაშინ საქართველოს უმუშევრობის დონე, რაც 2013 წლის მონაცემებით 14.6%-ია, გაცილებით მაღალი იქნება). ეს ფაქტი ქვეყანაში ადამიანური რესურსების არაეფექტიან განაწილებაზე მიუთითებს, რაც ქვეყნის განვითარებისთვის მეტად უარყოფითი ფაქტია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ სამუშაო ძალის პოტენციალის სრული იდენტიფიცირება და შემდეგ მათი ეფექტიანი გამოყენება შეძლოს. ეს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ოდენობის მნიშვნელოვან ზრდას და საქართველოს დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში სწრაფ გადასვლას შეუწყობს ხელს.

საქართველოში ყველაზე დიდი ოდენობით პროდუქცია და მომსახურება თბილისში იწარმოება, რაც ძირითადად ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაში შექმნილი პროდუქციის და მომსახურების დამსახურებაა. თბილისის შემდეგ მეორე ადგილზე იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთში წარმოებული დამატებული ღირებულებაა, რაც მომსახურების სხვადასხვა სახეებში (ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება, კავშირგაბმულობა, სასტუმროები და რესტორნები და სხვა) და სახელმწიფო მმართველობაში შექმნილი პროდუქციის და მომსახურების დამსახურებაა. მესამე ადგილზე ქვემო ქართლი დგას, სადაც დამატებული ღირებულება ყველაზე დიდი ოდენობით ძირითადად მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში იწარმოება. მეოთხე ადგილს აჭარის რეგიონი იკავებს, სადაც ყველაზე აქტიური სექტორები მომსახურების სხვადასხვა სახეები (ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება, კავშირგაბმულობა,

სასტუმროები და რესტორნები და სხვა) და მშენებლობაა. აჭარის რეგიონი საქართველოში ტურისტულად ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია, ამიტომ ბუნებრივია, რომ აქ, სასტუმროების, რესტორნების და მშენებლობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება მაღალია.

რეკომენდაციები:

1. სახელმწიფოს მიერ ქვეყნის პოტენციალის და რესურსების მაქსიმალური იდენტიფიცირება და მათი განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ფინანსების ინვესტირება.
2. სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული ფინანსური რესურსის (საჯარო ფინანსების) ეფექტიანი მართვის სისტემის სრულყოფა.
3. პრიორიტეტულ სექტორებში ინვესტიციების (როგორც FDI-ს, ასევე რეზიდენტების მიერ განხორციელებული ინვესტიციებისთვის) მოსაზიდად და წარმატებით განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნა.
4. მთელი საქართველოს მასშტაბით, სამუშაო ძალის უნარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენება.
5. შრომის ბაზარზე დაქირავებულთათვის ხელფასის საშუალო დონის ამაღლება (განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში).

www.sab.ge